

## ფუნქციონირებადი საწარმო ახლანდელ ცვალებად გარემოში — აუდიტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები კოვიდ-19-ის გავლენასთან დაკავშირებით

წინამდებარე დოკუმენტი გამოიცა იმ მიზნით, რომ გამოიკვეთოს ძირითადი პრიორიტეტული სფეროები, რომლებზეც განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს კოვიდ-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ახლანდელ გარემოში, როდესაც აუდიტორი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA<sup>TM</sup>) შესაბამისად პროცედურებს ატარებს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის შესაფასებლად და გამოაქვს დასკვნა.

ეს დოკუმენტი არც ცვლის და არც აუქმებს ასს-ებს, რადგან ასს-ების ტექსტი მიიჩნევა ერთადერთ ოფიციალურ ტექსტად. ამ დოკუმენტის გაცნობა არ არის ასს-ების გაცნობისა და გამოყენების შემცველი.

სპეციალისტებს, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას ადგენენ, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებსა და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს ეს დოკუმენტი შეიძლება დაეხმაროს სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებული აუდიტორის პასუხისმგებლობების შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნაში, ასევე აუდიტორის დასკვნის წებისმიერი სახის მოდიფიცირების გაგებაში, რომელიც განაპირობა სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობის არსებობამ.

მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას სამეურნეო სუბიექტის უნარზე, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ამგვარ ფაქტორებს განეკუთვნება სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის დარგი და გეოგრაფიული რეგიონი, მომხმარებლებისა და მომწოდებლების ფინანსური მდგომარეობა, ასევე სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა. კოვიდ-19-ის პანდემიისა და მისი გავლენით გამოწვეული ეკონომიკური გარემოს დეგრადაციის შედეგად, შემცირებულმა ამონაგებმა და ფულადმა ნაკადებმა შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს სუბიექტის მიერ მიმდინარე ან ახალი ვალდებულებებისა და სასესხო ხელშეკრულებების შემზღუდავი პირობების (კოვენანტების) შესრულების შესაძლებლობა.

წინამდებარე საგანგებო პრაქტიკულ მითითებაში მთელი აქცენტი გადატანილია იმაზე, რა გავლენას იქონიებს კოვიდ-19-ის პანდემია აუდიტორის სამუშაოზე, რომელიც დაკავშირებულია სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნარის შეფასებასთან, მათ შორის, რა გავლენა შეიძლება იქონიოს:

- ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებზე, რომლებიც ეკისრებათ მათ სამეურნეო სუბიექტის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსთან (სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან) დაკავშირებით;
- რისკის შესაფასებელ პროცედურებზე, რომლებსაც აუდიტორები ატარებენ და ასევე აუდიტორების შეფასებაზე, რომელიც ეხება სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნარის შესახებ ხელმძღვანელობის მიერ გამოტანილ დასკვნას;
- შემდგომ პერიოდებზე, რომლებსაც არ მოიცავს ხელმძღვანელობის დასკვნა;
- დამატებით პროცედურებზე, რომელთა ჩატარება იმ შემთხვევაში ევალუატირება აუდიტორებს, როდესაც გამოვლინდება ისეთი მოვლენები ან პირობები, რომლებიც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით;
- აუდიტორის დასკვნასა და აუდიტორების მიერ „სხვა ინფორმაციის“ განხილვაზე; და
- ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მნიშვნელოვან დაგვიანებაზე.

როდესაც აუდიტორი სამუშაოს ასრულებს სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით კოვიდ-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ახლანდელ გარემოში, მან ყურადღება უნდა გამახვილოს **ასს 27მ-ის (გადასმუწვლი) – „ფუნქციონირებადი საწარმო“** - ცველა მოთხოვნაზე, სრულყოფილად განიხილოს და გაიაზროს სამეურნეო სუბიექტთან დაკავშირებული სპეციფიკური გარემოებები, სანამ რაიმე დასკვნებს გამოიტანს. ამასთან, ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით სამუშაოს შესრულებისას განსაკუთრებით იზრდება პროფესიული სკეპტიციზმის მნიშვნელობა, მით უფრო იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ახლანდელი გარემოებები, სავარაუდოდ, არსებით ფინანსურ გავლენას არ იქონიებს სამეურნეო სუბიექტზე და არ არსებობს არანაირი არსებითი განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან.

## ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობები



ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება გულისხმობს, რომ ფინანსური ანგარიშგება მზადდება იმის დაშვებით, რომ სამეურნეო სუბიექტი არის ფუნქციონირებადი საწარმო და საქმიანობას გააგრძელებს უახლოეს საპროგნოზო მომავალში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს სამეურნეო სუბიექტის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არა აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. როდესაც ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებით, აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება იმის გათვალისწინებით, რომ სამეურნეო სუბიექტი შეძლებს აქტივების გაყიდვასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პირობებში.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები

- შეფასება სამეურნეო სუბიექტის უნარის, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ:
  - ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებში აშკარად გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად;<sup>1</sup> ან
  - როდესაც ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები პირდაპირ არ მოიცავს ამგვარ მოთხოვნას, მაგრამ სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის პრინციპი ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი პრინციპია.
- განსჯა დროის კონკრეტული მომენტისთვის, გარკვეული მოვლენების ან პირობების ბუნებრივად განუსაზღვრელი სამომავლო შედეგების;
- შემდეგი საკითხების განსჯა და განსჯის შედეგების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება განმარტებით შენიშვნებში:
  - მოვლენის ან გარემოების შედეგებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის ხარისხი (მაგალითად, რამდენად გაიზრდება მოვლენის ან გარემოების განუსაზღვრელობის ხარისხი მომავალში, როდესაც ეს მოვლენა, ან გარემოება რეალიზდება, ან მისი შედეგი დადგება);
  - სამეურნეო სუბიექტის სიდიდე და სირთულე, მისი საქმიანობის სპეციფიკა და მასზე გარე ფაქტორების ზემოქმედების ხარისხი;
  - მომავალი (განსჯის განხორციელების მომენტისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე).



### აუდიტორის პასუხისმგებლობები

- საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება და დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, მიზანშეწონილია თუ არა, რომ ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე;
- მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, **ხომ არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა** სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, რომ ის გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო;
- აუდიტორის დასკვნაში ასახვა, საჭიროებისამებრ.

აუდიტისთვის დამახასიათებელი თანდაყოლილი შეზღუდვების პოტენციური გავლენა აუდიტორის უნარზე, აღმოაჩინოს არსებითი უზუსტობები, იზრდება ისეთ სამომავლო მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სამეურნეო სუბიექტის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა... ის ფაქტი, რომ აუდიტორის დასკვნაში მითითებული არ იქნება არსებითი განუსაზღვრელობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტის უნართან, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არ შეიძლება მიჩნეული იყოს იმის გარანტიად, რომ სუბიექტი შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. (ასს 570 (გადასინჯული), მე-7 პუნქტი))

1. მაგალითად, ბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ მოითხოვს, რომ ხელმძღვანელობამ შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმო.

ვინაიდან კოვიდ-19-ის გავლენის შედეგად შექმნილი გარემოებები სწრაფად იცვლება, ამგვარი სიტუაცია, სავარაუდოდ, გავლენას იქონიებს იმაზე, როგორ ასრულებენ ხელმძღვანელობა და აუდიტორები თავთავიანთ პასუხისმგებლობებს:

ხელმძღვანელობა	აუდიტორები
<ul style="list-style-type: none"> <li>• სავარაუდოდ, უფრო რთული განსახორციელებელი იქნება ხელმძღვანელობის მხრიდან სამეურნეო სუბიექტის უნარის შეფასება, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.</li> <li>• ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს შესაძლოა დასჭირდეთ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის დამატებითი და უფრო სარწმუნო ინფორმაციის გამჟღავნება სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ისეთ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენს სამეურნეო სუბიექტის უნარზე, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შესაბამისად საჭიროა დამატებითი ან უფრო ეფექტური აუდიტორული პროცედურების ჩატარება, რათა აუდიტორმა შეძლოს დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, მართებულია თუ არა ხელმძღვანელობის მიერ გამოტანილი დასკვნა სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნარის შესახებ (ახლანდელ ვითარებაში განსახილველი სფეროები აღწერილია ქვემოთ, ამავე დოკუმენტში).</li> <li>• უფრო საიმედო პროცედურების ჩატარება შეიძლება აუდიტორს დაეხმაროს ახლანდელ გარემოში დასკვნების გამოტანაში.</li> <li>• უფრო მეტად არის მოსალოდნელი, რომ აუდიტორის დასკვნა მოდიფიცირებული იქნება (კონკრეტული სამეურნეო სუბიექტის სპეციფიკისა და მისი გარემოებების გათვალისწინებით) შემდეგი ფორმით:             <ul style="list-style-type: none"> <li>○ „ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა“ ნაწილის დამატება აუდიტორის დასკვნაში ასს 570-ის (გადასინჯული) შესაბამისად, შესაბამის შემთხვევებში;</li> <li>○ მოსაზრების მოდიფიცირება (ე.ი. პირობითი ან უარყოფითი მოსაზრება, ან უარი მოსაზრების გამოთქმაზე), აუცილებლობის შემთხვევაში;</li> <li>○ განვრცობილი ან აუდიტის ახალი ძირითადი საკითხები (როდესაც აუდიტორის დასკვნა მოიცავს „აუდიტის ძირითადი საკითხები“ ნაწილს).</li> </ul> </li> </ul>

ხელმძღვანელობასა და აუდიტორს შორის დროული და ქმედითი კომუნიკაცია აუცილებელია იმისთვის, რომ ორივე მხარემ შეძლოს სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნარის შეფასებასთან დაკავშირებული თავთავიანთი პასუხისმგებლობების შესრულება ამ გაურკვეველ ვითარებაში.

### რისკის შესაფასებელი პროცედურები და ხელმძღვანელობის დასკვნის მართებულობის შეფასება აუდიტორის მიერ



*ასს 570 (გადასინჯული) აუდიტორს ავალდებულებს, რომ როდესაც რისკის შესაფასებელ პროცედურებს ატარებს ასს 315-ის (გადასინჯული) მოთხოვნების შესაბამისად, განიხილოს, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენები ან პირობები, რომლებიც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.<sup>3</sup>*

მოსალოდნელია, რომ კოვიდ-19-ის პანდემია მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს გლობალურ ეკონომიკასა და ცალკეული დარგების ბაზრებზე, როგორცაა, მაგალითად სასტუმროების ბიზნესი, საცალო ვაჭრობა და ტურიზმი. ეკონომიკის დაცემა გამოიწვევს ისეთი მოვლენებისა და გარემოებების რიცხვის მნიშვნელოვან ზრდასა და მათი ზემოქმედების

2. ასს 315 (გადასინჯული) - `არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის გზით,- მე-5 პუნქტი.

3. ასს 570 (გადასინჯული), მე-10 და მე-12 პუნქტები.

გაძლიერებას, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში ეჭვს გამოიწვევს სამეურნეო სუბიექტის უნარის შესახებ, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუმცა, ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ განუსაზღვრელობა ავტომატურად იარსებებს \_ სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ეჭვის რისკის ზრდა დამოკიდებული იქნება კონკრეტული სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის სპეციფიკასა და მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ გარემოებებზე, მათ შორის იმ დარგზე, სადაც სამეურნეო სუბიექტი საქმიანობს.

შემდეგ ცხრილში მოცემულია ისეთი მოვლენებისა და პირობების მაგალითები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად.

მოვლენები და პირობები	პოტენციური გავლენა ხელმძღვანელობის დასკვნაზე, რომელიც ეხება სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნარს	პოტენციური საკითხები, რომელთა განხილვა შესაძლოა აუდიტორს დასჭირდეს ხელმძღვანელობის დასკვნის მართებულობის შეფასებისას
ძირითადი ბაზრის, ძირითადი მომხმარებლები(ებ)ის, ამონაგების დაკარგვა, სამუშაო ძალის უკმარისობა	<p>კოვიდ-19-ის პანდემიამ ბევრი ქვეყანა აიძულა საზოგადოების ჯანადცვის ღონისძიებების გატარება, რამაც ცალკეულ შემთხვევებში „არაარსებითი სუბიექტების“ დახურვა, ან მათი მუშაობის სტილის შეცვლა გამოიწვია, კერძოდ, პერსონალს რეკომენდაცია ეძლევათ ან, ზოგ შემთხვევაში, ევალებათ სახლიდან მუშაობა.</p> <p>ბევრ სამეურნეო სუბიექტზე, სავარაუდოდ, უარყოფითი გავლენა მოახდინა ამან. მაგალითად, ღონისძიებები, რომლებიც მოითხოვს არაპირველადი მოთხოვნილების საგნების მაღაზიების დახურვას, სავარაუდოდ, გამოიწვევს გაყიდვების მოცულობის შემცირებას, თუ სამეურნეო სუბიექტს დანაკარგის კომპენსაცია არ შეუძლია ონლაინგაყიდვების მეშვეობით.</p> <p>ახლაც და პანდემიის შემდეგაც, სავარაუდოდ, შეიცვლება მოთხოვნა ზოგიერთ პროდუქტსა და მომსახურებაზე. მაგალითად, სასტუმროებისა და ტურიზმის ბიზნესით დაკავებული სამეურნეო სუბიექტების ამონაგებს შესაძლოა მნიშვნელოვანი, დამლუპველი ზიანის მიადგეს.</p>	<p>გაითვალისწინა ხელმძღვანელობამ შემდეგი ფაქტორების გავლენა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ამონაგების დაკარგვა;</li> <li>• გეგმები, რომლებიც ეხება დანაკარგებისა და უკმარისობის გავლენით შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებას;</li> <li>• მიწოდების ჯაჭვისა და მიწოდების პოტენციური პრობლემები (ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს შეკვეთების შესრულებაზე);</li> <li>• სამუშაო ძალის უკმარისობა (რაც გავლენას მოახდენს დაგეგმილი სიმძლავრით საქმიანობის გაგრძელებაზე);</li> <li>• სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტები და სხვა სახის დახმარებები (მაგ., დახმარება გადასახადების გადახდის გადავადების ფორმით);</li> <li>• რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს საქმიანობის შეფერხებების ზემოქმედება სამეურნეო სუბიექტზე მას შემდეგ, რაც ყველანაირი შეზღუდვა მოიხსნება;</li> </ul>
ფულადი ნაკადების მისაღებად გამოყენებული აქტივების ღირებულებების მნიშვნელოვანი გაუარესება	<p>სავარაუდოდ, უფრო რთული შესაფასებელი იქნება აქტივი, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრებისთვის ამჟამად დამახასიათებელი განუსაზღვრელობის გათვალისწინებით.</p> <p>კერძოდ, გაცილებით უფრო რთული დასადგენი იქნება შეფასებები, რომლებიც რეალურ ღირებულებას ეყრდნობა, ვინაიდან ღირებულებები უფრო ხშირად და მნიშვნელოვნად მერყეობს.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იმ დაშვებების დასაბუთებულობა, რომლებიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა თავისი შეფასების გამოსათვლელად, მათ შორის მათი შესაბამისობა სხვა გამოთვლებში გამოყენებულ დაშვებებთან (საჭიროების შემთხვევაში);</li> <li>• არსებობს თუ არა ხელმძღვანელობისთვის ცნობილი ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია გამოყენებულ დაშვებასთან;</li> </ul>

მოვლენები და პირობები	პოტენციური გავლენა ხელმძღვანელობის დასკვნაზე, რომელიც ეხება სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნარს	პოტენციური საკითხები, რომელთა განხილვა შესაძლოა აუდიტორს დასჭირდეს ხელმძღვანელობის დასკვნის მართებულობის შეფასებისას
	<p>სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად უფრო რთული იქნება ისეთი შეფასებების განსაზღვრა, რომლებიც პროგნოზირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს ეყრდნობა, ვინაიდან ფულადი ნაკადებისთვის საიმედო მოდელის დამუშავება შესაძლოა მომავალში უფრო გაძნელდეს, ახლანდელი ცვალებადი გარემოებებისა და განუსაზღვრელობის გათვალისწინებით.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თუ ექსპერტი გამოიყენა შეფასების განსაზღვრაში დასახმარებლად, როგორ შეიმუშავა ექსპერტმა თავისი დაშვებები;</li> <li>• ხელმძღვანელობამ, გამოყენებული შეფასების პერიოდის კონტექსტში, სათანადოდ გაითვალისწინა თუ არა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრებისთვის ამჟამად დამახასიათებელი განუსაზღვრელობა და მათი სამომავლო პერსპექტივა, ხოლო თუ გაითვალისწინა _ როგორ.</li> </ul>
<p>აქტივების ღირებულებების მნიშვნელოვანი გაუარესება _ მარაგები</p>	<p>სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის სპეციფიკისა და მარაგების მალფუნქციონირების გათვალისწინებით, სამეურნეო საქმიანობის ნორმალური მსვლელობის შეფერხება, მათ შორის არაარსებითი ფიზიკური საწყობების დახურვა შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ ზოგიერთ სამეურნეო სუბიექტს დასჭირდება მნიშვნელოვანი მარაგების ჩამოწერის საკითხის განხილვა.</p> <p>ზოგიერთი სახის სეზონური მარაგიც შეიძლება გაუფასურებული იყოს, თუ შეუძლებელი იქნება მათი გაყიდვა ან ფასდაკლებით უნდა გაიყიდოს.</p>	<p>როგორ გაითვალისწინა ხელმძღვანელობამ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მარაგების ჩამოწერის შესაძლებლობები;</li> <li>• რა სახით შეიძლება გაგრძელდეს საქმიანობის შეფერხებების ზემოქმედება სამეურნეო სუბიექტზე მას შემდეგ, რაც ყველანაირი შეზღუდვა მოიხსნება. (მაგ., აღდება საიმედო მიწოდების ჯაჭვები).</li> </ul>
<p>ახალი პროდუქტების წარმოების ან ახალი მომსახურების დაწყების დაყოვნება</p>	<p>იმის გამო, რომ მოთხოვნა შემცირდა, ან შემცირდა დეტალებისა თუ კომპონენტების შემენის შესაძლებლობები, ბევრი სამეურნეო სუბიექტი იძულებული გახდა, გადაედო ახალი პროდუქტების წარმოებაში გაშვება ან ახალი მომსახურების დაწყება.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო სუბიექტის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი დამოკიდებული იყო ამა თუ იმ პროდუქტის წარმოების ან ახალი მომსახურების გარდაუვალ დაწყებაზე, ამ პროცესის დაყოვნებამ შესაძლოა დამლუპველი გავლენა იქონიოს სამეურნეო სუბიექტის უნარზე, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• როგორ გაითვალისწინა ხელმძღვანელობამ ახალი პროდუქტების წარმოების ან ახალი მომსახურების დაწყების დაყოვნების ფინანსური გავლენა სამეურნეო სუბიექტზე, მათ შორის სხვა დაკავშირებული დანახარჯების, როგორცაა იურიდიული მომსახურების დანახარჯები ან სხვა სავალდებულო დანახარჯები.</li> </ul>

მოვლენები და პირობები	პოტენციური გავლენა ხელმძღვანელობის დასკვნაზე, რომელიც ეხება სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნარს	პოტენციური საკითხები, რომელთა განხილვა შესაძლოა აუდიტორს დასჭირდეს ხელმძღვანელობის დასკვნის მართებულობის შეფასებისას
სავალუტო კურსების რყევა	სავალუტო კურსები მნიშვნელოვნად მერყეობდა. სამეურნეო სუბიექტებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი საერთაშორისო ოპერაციები აქვთ, შესაძლოა დასჭირდეთ გაითვალისწინებელი ზარალის (ან შემოსულობების) მიღების შესაძლებლობის გათვალისწინება უცხოური ვალუტის შეყიდვებიდან, უცხოური ვალუტით გამოსახული გაყიდვების ხელშეკრულებებიდან, მოთხოვნებიდან ან დავალიანებიდან, ან ფორვარდული გაცვლის ან სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ხელშეკრულებებიდან.	<ul style="list-style-type: none"> <li>როგორ გაითვალისწინა ხელმძღვანელობამ სავალუტო კურსების რყევები, მათ შორის ჰეჯირების შეთანხმებების გავლენა განუსაზღვრელობის შემცირებაზე;</li> <li>გაითვალისწინა თუ არა სავალუტო კურსების რყევებზე სამეურნეო სუბიექტის დამოკიდებულების ხარისხი.</li> </ul>
შეფასებები, რომლებზეც გავლენას ახდენს გაზრდილი განუსაზღვრელობა	<p>სამეურნეო სუბიექტებმა უნდა დაადგინონ, მომავალ ფულად ნაკადებზე გავლენას იქონიებს თუ არა გაზრდილი განუსაზღვრელობა და თუ იქონიებს, რა დონეზე (მაგ., გამოთვლები, რომლებიც ცვალებად განაკვეთებს ეყრდნობა, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები ან სავალუტო კურსები). ამისათვის მათ უნდა გაითვალისწინონ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მომავლის უცნობი/არაპროგნოზირებადი ბუნება;</li> <li>კოვიდ-19-ის პანდემიის ხანგრძლივობა;</li> <li>დრო, როდესაც შეიძლება ჰქონდეთ ფულადი ნაკადების მოლოდინი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>როდესაც აფასებს ხელმძღვანელობის მიერ გამოტანილ დასკვნას მომავალ ფულად ნაკადებზე გავლენის მქონე განაკვეთების სამომავლო რყევებისა და სხვა შესაფერისი ფაქტორების ზემოქმედების შესახებ, აუდიტორს შეუძლია ყურადღების გამახვილება შემდეგ საკითხებზე: <ul style="list-style-type: none"> <li>ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები, მათ შორის მათი შესაბამისობა აუდიტის სხვა სფეროებთან;</li> <li>წყაროები, რომლებიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა დაშვებების დასაბუთებულობის დასადაგენად;</li> <li>გაითვალისწინა თუ არა სამეურნეო სუბიექტის დამოკიდებულების ხარისხი სავალუტო კურსების რყევებზე.</li> </ul> </li> </ul>
კონტრაჰენტის საკრედიტო რისკი	სამეურნეო სუბიექტებმა უნდა დაადგინონ, არსებობს თუ არა კონტრაჰენტის მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის, ე.ი. როდესაც სამეურნეო სუბიექტს მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები აქვს, კონტრაჰენტს განზრახული აქვს თუ არა, ან შეუძლია თუ არა ხელშეკრულების შესრულება.	<ul style="list-style-type: none"> <li>როგორ შეაფასა ხელმძღვანელობამ ფინანსური აქტივების ამოღების შესაძლებლობა, მათ შორის, ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები არის თუ არა დასაბუთებული და შეესაბამება თუ არა აუდიტორისთვის ცნობილ სხვა ინფორმაციას.</li> </ul>
სამეურნეო სუბიექტის გადახდისუნარიანობა	ამჟამად მთავრობების დახმარება ძირითადად მიმართულია იმ სამეურნეო სუბიექტების მოკლევადიანი ლიკვიდურობის უზრუნველყოფაზე, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. ზომებმა, რომლებსაც სამეურნეო სუბიექტები	როგორ შეაფასა ხელმძღვანელობამ სამეურნეო სუბიექტის გრძელვადიანი გადახდისუნარიანობა, მათ შორის, რა სახის კომუნიკაცია განახორციელა ხელმძღვანელობამ თავის დამფინანსებლებთან (მაგ., ბანკებთან ან სხვა

მოვლენები და პირობები	პოტენციური გავლენა ხელმძღვანელობის დასკვნაზე, რომელიც ეხება სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნარს	პოტენციური საკითხები, რომელთა განხილვა შესაძლოა აუდიტორს დასჭირდეს ხელმძღვანელობის დასკვნის მართებულობის შეფასებისას
	<p>ახლა გაატარებენ ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით, როგორცაა გადახდების გადავადება ან გრანტების მიღება, შესაძლოა გავლენა იქონიოს სამეურნეო სუბიექტის გრძელვადიან გადახდისუნარიანობაზე.</p>	<p>გამსესხებულბთან) გრძელვადიან გადახდისუნარიანობასა და სასესხო ხელშეკრულებების კოვენანტებთან დაკავშირებით</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• როგორ ჩაატარა ხელმძღვანელობამ რომელიმე სახის „სტრესტესტირება“, რომელიც მას დაეხმარებოდა სამეურნეო სუბიექტის გადახდისუნარიანობის რისკების შეცნობაში და სტრესტესტირებაში გამოყენებული დაშვებები ადეკვატურად ასახავს თუ არა მოსალოდნელ გარემოებებს</li> <li>• როგორ შეძლებს სამეურნეო სუბიექტი დამატებით აღებული სესხების დაფარვას</li> <li>• როგორ შეასრულებს სამეურნეო სუბიექტი ადრე გადავადებულ გადახდებს</li> <li>• როგორ გაითვალისწინა ხელმძღვანელობამ ნორმატიული მითითებები, რომლებიც გამოიცა კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენის შემსუბუქების მიზნით</li> </ul>



**პერიოდი, რომელსაც არ მოიცავს ხელმძღვანელობის შეფასება**

*ასს 570-ის (გადასინჯული) მე-15 პუნქტში აღნიშნულია, რომ აუდიტორმა უნდა ჩაატაროს ხელმძღვანელობის გამოკითხვა, მისთვის ცნობილი იყო თუ არა შეფასებისთვის გამოყენებული პერიოდის შემდგომი პერიოდის ისეთი მოვლენების ან პირობების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.*

პერიოდი, რომელსაც უნდა ეხებოდეს ხელმძღვანელობის შეფასება, განისაზღვრება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებში ან კანონმდებლობით, თუ შესაფასებლად უფრო ხანგრძლივი პერიოდის გამოყენება მოითხოვება. ასს 570 (გადასინჯული) მოითხოვს, რომ ხელმძღვანელობის მიერ სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნარის შესახებ გამოტანილი დასკვნის შეფასებისას აუდიტორმა იგივე პერიოდი მოიცვას, რომელიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობის შეფასება თორმეტ თვეზე ნაკლებ პერიოდს მოიცავს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი აუდი-

ტორს ევალუბა, ხელმძღვანელობას მოსთხოვოს შეფასების პერიოდის ხანგრძლივობის გაზრდა ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან სულ მცირე თორმეტ თვემდე მაინც.<sup>4</sup>

მართალია, ახლანდელ გარემოებებში შეიძლება უფრო რთული დასადგენი იყოს შორეული მოვლენები და პირობები, რომლებსაც არ მოიცავს ხელმძღვანელობის დასკვნა, მაგრამ მოსალოდნელია, რომ კოვიდ-19-ის პანდემია მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ბევრ სამეურნეო სუბიექტზე, მაგალითად, მიწოდების ჯაჭვის ხანგრძლივი ვადით მოშლის გამო. ამან შეიძლება მოკლევადიანი შეფერხებები გამოიწვიოს (მაგალითად, ბევრ სამეურნეო სუბიექტს შესაძლოა სირთულეები შეექმნას მიწოდების საკითხში), მაგრამ ასევე გრძელვადიან პერსპექტივაშიც ვერ შეძლოს შეკვეთების დამუშავება ან შესრულება, თუ მიწოდების ჯაჭვი ნელ-ნელა აღდგება. აუდიტორებს შეუძლიათ განიხილონ, როგორ აპირებს ხელმძღვანელობა მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას, რა ალტერნატიული გზები და ვადები შეიძლება არსებობდეს თითოეული პოტენციური პრობლემის მოსაგვარებლად.

## დამატებითი პროცედურები, როდესაც მოვლენები ან პირობები გამოვლინდება



*ასს 570-ის (გადასინჯული) მე-16 პუნქტში აღნიშნულია, რომ „თუ გამოვლინდება ისეთი მოვლენები და პირობები, რომლებიც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, აუდიტორმა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები უნდა მოიპოვოს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რომლებიც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით (შემდგომში `არსებითი განუსაზღვრელობა~). ამ მიზნით, აუდიტორმა უნდა ჩაატაროს დამატებითი აუდიტორული პროცედურები, მათ შორის, უნდა განიხილოს ფაქტორები, რომლებიც ასუსტებს ამ განუსაზღვრელობის ზემოქმედების ხარისხს“.*

ვინაიდან, მოსალოდნელია, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად წარმოიქმნება ისეთი მოვლენები ან პირობები/გარემოებები, რომლებსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ეჭვის გამოწვევა სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ამის გამო, მოსალოდნელია ისიც, რომ აუდიტორებს დასჭირდებათ დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება ასს 570-ის (გადასინჯული) მე-16 პუნქტის შესაბამისად. გარდა ამისა, აუდიტორმა შეიძლება მოისურვოს სხვა საკითხების განხილვაც. მაგალითად:

- ხელმძღვანელობამ განსაზღვრა და გაატარა თუ არა რაიმე ზომები იმისთვის, რომ მათ ისევ ჰქონოდათ ეფექტური კონტროლის გარემო სამეურნეო სუბიექტში, კერძოდ, როგორ შეცვალეს და მორგეს შეცვლილ გარემოებებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული ძირითადი კონტროლის მექანიზმები და სხვა მნიშვნელოვანი კონტროლის მექანიზმები;
- ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა თუ არა, როგორ შეძლებენ მუდმივად საიმედო და რელევანტური ინფორმაციის მოპოვებას მომავალი ოპერაციების მართვის მიზნით, მაგალითად, ფინანსური ინფორმაციის მიღებას სამეურნეო სუბიექტის სხვა ნაწილებიდან, ვთქვათ, ფილიალებიდან და ქვედანაყოფებიდან.

ასს 570-ის (გადასინჯული) გ16 პუნქტშიც არის აღწერილი აუდიტორული პროცედურების რამდენიმე სხვა მაგალითი, რომლებიც შესაძლოა მიესადაგებოდეს მე-16 პუნქტის მოთხოვნას ახლანდელ გარემოებებში.

4 . ასს 570 (გადასინჯული), მე-13 პუნქტი.



<p>აუდიტორის დამატებითი პროცედურები — მე-16 პუნქტის მოთხოვნა</p>	<p>აუდიტორის პროცედურები — გ16 პუნქტის შესაფერისი მაგალითი</p>	<p>აუდიტორის აქცენტი ახლანდელ გარემოებებში</p>
<p>თუ სამეურნეო სუბიექტს მომზადებული აქვს ფულადი ნაკადების პროგნოზი და ამ პროგნოზის ანალიზი მნიშვნელოვანია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ღონისძიებების გეგმის შესაფასებლად, მოვლენების ან პირობების სამომავლო შედეგების განხილვის თვალსაზრისით:</p> <p>(i) შეაფასეთ იმ საბაზისო მონაცემების საიმედოობა, რომლებიც დამუშავდა პროგნოზირებული ფულადი ნაკადების გამოსათვლელად; და</p> <p>(ii) დაადგინეთ, სათანადოდ არის თუ არა დასაბუთებული საპროგნოზო ფულადი ნაკადების გამოსათვლელად გამოყენებული დაშვებები.</p>	<p>გაანალიზეთ და ხელმძღვანელობასთან ერთად განიხილეთ ფულადი ნაკადების, მოგებისა და სხვა შესაფერისი პროგნოზები.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადრე მომზადებული ბიუჯეტები და პროგნოზები შესაძლოა ახლა ნაკლებად აქტუალური იყოს იმის გამო, რომ სწრაფად იცვლება ეკონომიკური გარემო და შესაძლოა ეს ინფორმაცია ჯერ ხელმძღვანელობის მხრიდან სერიოზულ გადამუშავებას საჭიროებდეს, სანამ აუდიტორი განიხილავს.</li> <li>• თუ გავითვალისწინებთ გლობალურ ბაზრებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობისა და ცვალებადობის ხარისხს, სავარაუდოდ, ახლა უფრო რთული იქნება მომავალზე ორიენტირებული გათვლების გაკეთება და, მამასადამე, ამგვარი პროგნოზების აუდიტის ჩატარებაც. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შემდეგ საკითხებს:             <ul style="list-style-type: none"> <li>○ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ ნებისმიერ დაშვებას და დასაბუთებულა თუ არა ისინი ახლანდელი გარემოების გათვალისწინებით. მაგალითად, გამსესხებლებს, რომლებიც ახალ სესხებს გასცემენ ან არსებული კრედიტების პროლონგირებას ახორციელებენ, შეიძლება, დამატებითი ხარჯების გაწევა მოუწიოთ მაღალრისკიან დარგებთან დაკავშირებით, ან უცხოურ ვალუტაში გამოსახულ სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალუტის კურსის რყევებმა შესაძლოა სერიოზული ნეგატიური გავლენა იქონიოს მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზზე;</li> <li>○ სამეურნეო სუბიექტის მიერ სხვადასხვა მიზნით გამოყენებული ერთი და იმავე დაშვებების ურთიერთშესაბამისობას;</li> <li>○ ჩატარებული მგრძობელობის ანალიზი როგორ გამოიყენა ხელმძღვანელობამ გამოყენებული დაშვებების დასაბუთებლად, ან თუ სხვადასხვა სცენარი იყო მომზადებული გარემოს სწრაფი ცვლილებების ასახვის მიზნით, როგორ აისახა ეს ხელმძღვანელობის შეფასებაში.</li> <li>○ სახელშეკრულებო შეთანხმებებმა, რომელთა მოდიფიცირება განხორციელდა, შესაძლოა გავლენა მოახდინოს მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზებზე;</li> </ul> </li> </ul>

<p>აუდიტორის დამატებითი პროცედურები — მე-16 პუნქტის მოთხოვნა</p>	<p>აუდიტორის პროცედურები — გ16 პუნქტის შესაფერისი მაგალითი</p>	<p>აუდიტორის აქცენტი ახალანდელ გარემოებებში</p>
		<p>○ ცვლილებები, რომელთა შეტანა აუცილებელია მოსალოდნელ გადასახადებში იმის გამო, რომ შეიცვალა საგადასახადო განაკვეთები, ან საგადასახადო კანონმდებლობა (მაგ., ზოგიერთ იურისდიქციაში შესაძლოა გაატარეს სამეურნეო სუბიექტების დასახმარებლად ღონისძიებები, საგადასახადო სისტემაში შეტანილი ცვლილებების მეშვეობით).</p> <p>შესაძლოა აუცილებელი იყოს ხელმძღვანელობის დასკვნისა და აუდიტორის შეფასების რეგულარულად განახლება, პანდემიის პროგრესირებადი ბუნების გამო.</p>
<p>შეაფასეთ ხელმძღვანელობის სამომავლო სამოქმედო გეგმები, რომლებიც დაკავშირებულია სამეურნეო სუბიექტის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შეფასებასთან, კერძოდ, გააუმჯობესებს თუ არა მდგომარეობას აღნიშნული გეგმები და პრაქტიკულად განხორციელებადია თუ არა ისინი მოცემულ გარემოებებში.</p>	<p>დაადასტურეთ დაკავშირებულ ან სხვა მესამე მხარესთან ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის ან შენარჩუნების მიზნით დადებული ხელშეკრულებების არსებობა, მათი კანონიერება და განხორციელების შესაძლებლობა და შეაფასეთ ამ მხარეთა ფინანსური შესაძლებლობები, დამატებითი ფულადი სახსრებით სამეურნეო სუბიექტის უზრუნველყოფის კუთხით.</p>	<p>მთელ მსოფლიოში ცალკეული ქვეყნების მთავრობებმა გამოსცეს ღონისძიებების პაკეტი სამეურნეო სუბიექტების მხარდასაჭერად, რომლებიც ძირითადად მიმართულია ბიზნესის დანახარჯების დაფარვაზე ლიკვიდურობის უზრუნველყოფის მიზნით. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში გრანტები გასცეს შუალედური პერიოდის სახელფასო დანახარჯების გარკვეული ნაწილის დასაფარად. გარდა ამისა, ზოგიერთ იურისდიქციაში გარკვეულ ზომებს ატარებენ საბანკო სექტორის წასახალისებლად, რათა მათ საგანგებო სესხები გასცენ სამეურნეო სუბიექტებზე, რომლებსაც ფინანსური დახმარება სჭირდებათ (კერძოდ, მცირე საწარმოებზე) და დიდი მოქნილობა გამოიჩინონ სასესხო ხელშეკრულებების შემზღუდავი პირობების (კოვენანტების) დარღვევებთან მიმართებით.</p> <p>როდესაც აუდიტორები აფასებენ სამეურნეო სუბიექტის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შესახებ ხელმძღვანელობის დასკვნას, მათ შეუძლიათ გაითვალისწინონ მაგალითად, რამდენად ეყრდნობა ამგვარ დახმარებას სამეურნეო სუბიექტი, რომელიც დახმარებას იღებს და საკმარისია თუ არა ეს დახმარება მოკლევადიან ლიკვიდურობასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. ამასთან, თუ დახმარებას გარკვეული პირობები დაერთვის – შემდეგ თუ არა სამეურნეო სუბიექტი, სავარაუდოდ, მათ დაკმაყოფილებას.</p> <p>აუდიტორებს ასევე შეუძლიათ განიხილონ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გამსესხებლებთან კორესპონდენციების მიმოხილვის მასალა, რათა წარმოდგენა შეიქმნან იმის თაობაზე, რამდენად არის მოსალოდნელი მათგან მხარდაჭერის გაგრძელება;</li> <li>• ნებისმიერი რესტრუქტურისაგან გემის განხორციელების შესაძლებლობა და მისი გავლენა საოპერაციო დანახარჯების შეკვეცაზე.</li> </ul>


აუდიტორის დამატებითი პროცედურები — მე-16 პუნქტის მოთხოვნა	აუდიტორის პროცედურები — გ16 პუნქტის შესაფერისი მაგალითი	აუდიტორის აქცენტი ახალანდელ გარემოებებში
	<p>გაეცანით გამოშვებული სავალდებულებებისა და სასესხო ხელშეკრულებების პირობებს და დაადგინეთ, ირღვევა თუ არა რომელიმე მათგანი.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>სამეურნეო სუბიექტის შესაძლებლობა, დაფაროს გადავადებული დანახარჯები მათი გადახდის ვადის დადგომისას.</li> </ul> <p>კოვიდ-19 ზოგიერთ სამეურნეო სუბიექტზე, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან ფინანსურ გავლენას იქონიებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ აუდიტორმა გაითვალისწინოს შემცირებული საკრედიტო რეიტინგების გავლენა და დაირღვა თუ არა, ან შეიძლება თუ არა, რომ დაირღვეს სასესხო ხელშეკრულების რომელიმე შემზღულდავი პირობა (კოვენანტი) და როგორ აპირებს ხელმძღვანელობა გამსესხებლებთან პრობლემის მოგვარებას.</p> <p>მაგალითად, დარღვევა შესაძლოა გამოიწვიოს სამეურნეო სუბიექტის საანგარიშგებო შემოსავლების დროებითა ცვლილებამ, საქმიანობის შეჩერებამ ან არსებითი არახელსაყრელი მოვლენების შესახებ გათვალისწინებულმა სახელშეკრულებო მუხლებმა, ან გამსესხებლებისთვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების, ან სასესხო ხელშეკრულების კოვენანტების შესაბამისობის სერტიფიკატების, ან მესამე მხარეთა შევასებების გარდაუვალი შეფერხებებით მიწოდებამ.</p> <p>სხვა საკითხები ეხება ღონისძიებებს, რომლებიც გატარდა ზოგიერთ იურისდიქციაში სასესხო ხელშეკრულებების კოვენანტებთან დაკავშირებით. მაგალითად, ზოგიერთ იურისდიქციაში პრუდენციული ზედამხედველობის ორგანოებმა სესხის გამცემ სუბიექტებს მიმართეს თხოვნით, რომ გულდასმით განეხილათ კოვენანტების შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებული თავიანთი საპასუხო ქმედებები, რაც უშუალოდ გამოწვეული იქნება კოვიდ-19-ის პანდემიისა და მისი გავლენის შედეგად შექმნილი გარემოებებით, მათ შორის, გარკვეულ გარემოებებში კლიენტებისთვის არ დაეკისრებინათ ახალი მოსაკრებლები ან შეზღუდვები.</p>
	<p>დაადასტურეთ ნასესხები სახსრების არსებობა, პირობები და მათი ადეკვატურობა/საკმარისობა</p>	<p>ზოგიერთ სამეურნეო სუბიექტს შესაძლოა სხვებზე უფრო მეტად დასჭირდეს ნასესხებ ან საკრედიტო სახსრებზე დაყრდნობა, რადგან კოვიდ-19-ის პანდემია მათზე ფინანსურ გავლენას ახდენს მოკლე - საშუალოვადიან პერსპექტივაში.</p> <p>ამგვარად, სამეურნეო სუბიექტის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შესახებ აუდიტორის დასკვნის გასამყარებლად ასევე მნიშვნელოვანია, რომ აუდიტორმა გაითვალისწინოს სამეურნეო სუბიექტსა და გამსესხებლებს შორის დადებული ხელშეკრულებების არსებობა როგორც მოკლევადიანი ლიკვიდურობის, ისე გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის შესახებ.</p>

## გავლენა აუდიტორის დასკვნაზე

ასს 570-ის (გადასინჯული) მე-17 და მე-18 პუნქტები აუდიტორს ავალდებულებს, რომ:



- შეაფასოს, მოპოვებული აქვს თუ არა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, მიზანშეწონილია თუ არა, რომ ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე და გამოიტანოს სათანადო დასკვნა.
- მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაასკვნას, მისი აზრით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რომლებიც, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.



მართალია, COVID-19-ის პანდემიის გავლენის შედეგად შეიძლება გაიზარდოს ისეთი მოვლენებისა თუ პირობების რიცხვი, რომლებიც იწვევს აუდიტორის დასკვნის ან მოსაზრების მოდიფიცირებას, მაგრამ ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ მოდიფიცირება გარდაუვალია - მოდიფიცირების საჭიროება დამოკიდებული იქნება თითოეულ სუბიექტთან დაკავშირებულ კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე.

### ინფორმაციის გამჟღავნება განმარტებით შენიშვნებში სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები კონკრეტულ მოთხოვნებს ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაციის შესახებ, მათ შორის, რომელიც ეხება ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან განსჯასა და დაშვებებს. როგორც წესი, სპეციფიკური ინფორმაციის გამჟღავნება იმ შემთხვევაში მოითხოვება, როდესაც ხელმძღვანელობა დაასკვნის, რომ მნიშვნელოვანი ეჭვი არსებობს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ (მაგალითად, ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში). გარდა ამისა, შეიძლება სხვა ინფორმაციის გამჟღავნებაც მოითხოვებოდეს, მაგალითად რისკების შესახებ, კერძოდ იმის თაობაზე, როგორ, რა მეთოდებით მართავს ხელმძღვანელობა ლიკვიდურობისა და საკრედიტო რისკებს.

ახლანდელ ვითარებაში, ვინაიდან ბევრი სამეურნეო სუბიექტის უახლოეს პერსპექტივასთან განუსაზღვრელობაა დაკავშირებული, სავარაუდოდ, უფრო მეტ ფინანსურ ანგარიშგებაში იქნება გამჟღავნებული უფრო ფართო ინფორმაცია ისეთი მოვლენებისა თუ პირობების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

შესაძლოა არსებობდეს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სამართლიანი წარდგენის საფუძვლების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება აუცილებელი იყოს დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება სამართლიანი წარდგენის მისაღწევად. მაგალითად, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის შეფასებისას, სამეურნეო სუბიექტთან დაკავშირებულ

კონკრეტული ფაქტებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე, აუდიტორმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ აუცილებელია დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება სამართლიანი წარდგენის მისაღწევად, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებით აშკარად არ მოითხოვება ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნება.

*ასს 570-ის მე-19 და მე-20 პუნქტები აუდიტორს ავალდებულებს, რომ განსაზღვროს, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა ადეკვატურ ახსნა-განმარტებებს გამოვლენილი მოვლენებისა თუ პირობების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან, ან ხელმძღვანელობის შესაბამისი გეგმების თაობაზე, თუ არსებობს.*

ახსნა-განმარტებების საჭირო დონე დამოკიდებული იქნება თითოეულ სამეურნეო სუბიექტთან დაკავშირებულ ფაქტებსა და გარემოებებზე \_ ახლანდელი ცვალებადი გარემო ყველა სამეურნეო სუბიექტზე ერთნაირ დონეზე ან ერთნაირად არ ახდენს გავლენას. აუდიტორი მიმართავს პროფესიულ განსჯას, რათა დაადგინოს ახსნა-განმარტებების ადეკვატურობა და არაადეკვატური ახსნა-განმარტებების გავლენა აუდიტორის მოსაზრებაზე ან აუდიტორის დასკვნაზე.

### გავლენა აუდიტორის დასკვნაზე

შემდეგ ცხრილში შეჯამებული სახით წარმოდგენილია, რა გავლენა შეიძლება იქონიოს აუდიტორის დასკვნაზე იმ ფაქტმა, თუ აუდიტორის მიერ სათანადო ფაქტებისა და გარემოებების განსჯის საფუძველზე პრობლემები გამოვლინდება საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით:

ასს 570-ის (გადასინჯული) დანართში მოცემულია სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული აუდიტორის დასკვნების საილუსტრაციო ნიმუშები

აუდიტორის შეფასება (აუდიტორის განსჯის შედეგად, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით)	გავლენა აუდიტორის დასკვნაზე <sup>5</sup>	ასს 570 (გადასინჯული) მითითება
<ul style="list-style-type: none"> <li>ფინანსური ანგარიშგება სათანადოდ მომზადებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე</li> <li>გამოვლენილია არსებითი განუსაზღვრელობა</li> <li>განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებულია ადეკვატური ინფორმაცია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>არამოდიფიცირებული მოსაზრება</li> <li>დასკვნას ემატება ცალკე ნაწილი, რომლის ქვესათაური იქნება „<b>ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა</b>“, სადაც ასევე ყურადღება გამახვილებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე</li> </ul>	22-ე პუნქტი
<ul style="list-style-type: none"> <li>ფინანსური ანგარიშგება სათანადოდ მომზადებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე</li> <li>გამოვლენილია არსებითი განუსაზღვრელობა</li> <li>განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული <b>არ არის</b> ადეკვატური ინფორმაცია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>პირობითი ან უარყოფითი</b> მოსაზრება, საჭიროებისამებრ , ასს 705-ის (გადასინჯული)<sup>6</sup> შესაბამისად</li> <li>„<b>პირობითი (უარყოფითი) მოსაზრების საფუძველი</b>“ ნაწილში მითითებულია, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, რომ ის საქმიანობას გააგრძელებს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო და ფინანსურ ანგარიშგებაში ადეკვატურად არ არის ახსნილი ეს საკითხი</li> </ul>	23-ე პუნქტი

5. ასს 570-ის (გადასინჯული) დანართში მოცემულია სხვადასხვა გარემოების შესაფერისი აუდიტორის დასკვნების ისეთი ნიმუშები, სადაც გათვალისწინებულია სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებული საკითხები.

6. ასს 705 (გადასინჯული) – „*მოსაზრების მოდიფიცირება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში*“.

<p>აუდიტორის შეფასება (აუდიტორის განსჯის შედეგად, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით)</p>	<p>გავლენა აუდიტორის დასკვნაზე<sup>7</sup></p>	<p>ასს 570 (გადასინჯული) მითითება</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე</li> <li>• ფინანსური ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის</li> </ul>	<p><b>უარყოფითი მოსაზრება</b></p>	<p>21-ე პუნქტი</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>• სამეურნეო სუბიექტი არ არის ფუნქციონირებადი საწარმო</li> <li>• ფინანსური ანგარიშგება სათანადოდ მომზადებულია სხვა საფუძველით, არა ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებით</li> <li>• მოცემული გარემოებებისთვის შესაფერისია გამოყენებული სხვა საფუძველი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეიძლება შესაძლებელი იყოს <b>არამოდოფიცირებული მოსაზრების</b> გამოთქმა, თუ ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ადეკვატურ განმარტებებს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული საფუძვლის შესახებ</li> <li>• შეიძლება მიზანშეწონილად იყოს მიჩნეული მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის დამატება ასს 706-ის (გადასინჯული)<sup>7</sup> შესაბამისად, რათა მომხმარებლის ყურადღება გამახვილდეს ზემოაღნიშნულ ალტერნატიულ საფუძველსა და მისი გამოყენების მიზეზებზე</li> </ul>	<p>პუნქტი გ27</p>

როდესაც იხილავს გავლენას აუდიტორის დასკვნაზე, აუდიტორი ასევე ითვალისწინებს, მოპოვებული აქვს თუ არა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რომ შეძლოს ხელმძღვანელობის მიერ სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის შესახებ გამოტანილი დასკვნის შეფასება. თუ აუდიტორი ვერ მოიპოვებს საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კოვიდ 19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ახლანდელ გარემოში, აუდიტორი ასს 705-ის (გადასინჯული) შესაბამისად განსაზღვრავს, რა გავლენას იქონიებს ეს აუდიტორის დასკვნაზე. მაგალითად, თუ ძალიან რთული იქნება მომავლის პროგნოზების შესახებ მტკიცებულებების მოპოვება, ამან შეიძლება გამოიწვიოს აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა. აუდიტორის დასკვნების შედგენასთან დაკავშირებული უფრო ზოგადი საკითხები განხილული იქნება ცალკე დოკუმენტში: „საგანგებო მითითება: აუდიტორის დასკვნის შედგენა ახლანდელ ცვალებად გარემოში – აუდიტის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კოვიდ-19-ის გავლენასთან.“<sup>8</sup>

**აუდიტის ძირითადი საკითხები**

„აუდიტის ძირითადი საკითხები“ ნაწილი აუდიტორის დასკვნაში ჩაირთვება ასს 701-ის<sup>9</sup> შესაბამისად, რათა მომხმარებლის ყურადღება გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, რომლებიც, აუდიტორის პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში.

7. ასს 706 (გადასინჯული) – „მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი და სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცები დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში“.  
 8. გამოქვეყნდება 2020 წლის მაისში.  
 9. ასს 701 – „აუდიტის ძირითადი საკითხების შესახებ ინფორმირება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში“.

საკითხი, რომელიც სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით არსებით განუსაზღვრელობას წარმოშობს, თავისი არსით, აუდიტის ძირითადი საკითხია, როგორც მითითებულია ასს 701-ში<sup>10</sup>. ახლანდელ გარემოში ასევე მოსალოდნელია, რომ ზოგიერთ სამეურნეო სუბიექტთან დაკავშირებით აუდიტორს მნიშვნელოვანი განსჯა დასჭირდება იმისათვის, რომ შეაფასოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობა. მაშასადამე, ეს საკითხი შეიძლება მიჩნეული იყოს აუდიტის ძირითად საკითხად.

აუდიტის ძირითადი საკითხების შესახებ ინფორმირება არ არის ასს 570-ის (გადასინჯული) შესაბამისად აუდიტორის დასკვნის შედგენის შემცველი, როდესაც არსებობს სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, როგორც ზემოთ იყო აღწერილი. ასს 701-ის მე-15 პუნქტში ახსნილია, რომ საკითხი, რომელიც იწვევს მოდიფიცირებულ მოსაზრებას ასს 705-ის (გადასინჯული) შესაბამისად, ან არსებითი განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის უნართან ასს 570-ის (გადასინჯული) შესაბამისად, არ უნდა იყოს აღწერილი აუდიტორის დასკვნის „აუდიტის ძირითადი საკითხები“ ნაწილში. ამის ნაცვლად, აუდიტორმა ამ საკითხების შესახებ დასკვნაში ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ასს 705-ის (გადასინჯული) ან ასს 570 (გადასინჯული) მოთხოვნების შესაბამისად, საჭიროებისამებრ, ხოლო „აუდიტის ძირითადი საკითხები“ ნაწილში მიუთითოს დასკვნის ის ნაწილები, რომლებიც ამ ასს-ების შესაბამისად არის ჩართული აუდიტორის დასკვნაში.


### მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება



ასს 570-ის (გადასინჯული) 25-ე პუნქტი ადგენს მოთხოვნებს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის გარკვეული საკითხების ინფორმირების შესახებ, როდესაც გამოვლინდება ისეთი მოვლენები ან პირობები, რომლებიც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. სტანდარტით მითხოვება, რომ ინფორმირება ეხებოდეს შემდეგ საკითხებს: აღნიშნული მოვლენები ან პირობები ქმნიან თუ არა არსებით განუსაზღვრელობას, ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას, ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული ინფორმაციის ადეკვატურობასა და არსებული სიტუაციის გავლენას აუდიტორის დასკვნაზე, როდესაც შესაფერისია.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან რეგულარულ და ქმედით კომუნიკაციას, სავარაუდოდ, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება ახლანდელ გარემოში. კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა სამეურნეო სუბიექტებზე სწრაფად იცვლება. მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ ჩატარებულმა განხილვებმა და გამოტანილმა დასკვნებმა შესაძლოა ძალიან მოკლე დროში დაკარგონ აქტუალურობა მას შემდეგ, რაც ისინი გათვალისწინებული იქნება ხელმძღვანელობის ან აუდიტორის შეფასებებში. აუდიტორმა უნდა განიხილოს საკითხი იმის თაობაზე, როგორ დაგეგმავს სამუშაოს, რომ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია როგორც დასკვნის შედგენასთან, ისე სხვა საკითხებთან, რომელთა ინფორმირება მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის სავალდებულოა.

### პოტენციური გავლენა აუდიტორის მოსაზრებებზე, რომლებიც ეხება „სხვა ინფორმაციას“ ასს 720-ის (გადასინჯული)<sup>11</sup> შესაბამისად



ზოგიერთ იურისდიქციაში შესაძლოა დამატებითი ინფორმაციის წარდგენა მოითხოვებოდეს წლიურ ანგარიშში, განყოფილებაში „სხვა ინფორმაცია“. მაგალითად, ზოგიერთ იურისდიქციაში შესაძლოა ხელმძღვანელობას ევალებოდეს კომენტარების გაკეთება სამეურნეო სუბიექტის გრძელვადიანი სტაბილურობის ან სტრატეგიის შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობები „სხვა ინფორმაციასთან“ მიმართებით აღწერილია ასს 720-ში (გადასინჯული), მათ შორის, როდესაც „სხვა ინფორმაცია“ მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან, ან მის სტაბილურობასა და სტრატეგიასთან. გაეცნობა რა სხვა ინფორმაციას,

10 . ასს 701, მე-15 პუნქტი.

11. ასს 720 – „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან მიმართებით“.

აუდიტორს, სხვასთან ერთად, ევალება:

- განიხილოს, არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებას შორის. ამისათვის აუდიტორმა სხვა ინფორმაციიდან აღებული შერჩეული თანხები ან სხვა მუხლები (რომლებიც იმისთვისაა გამიზნული, რომ ემთხვეოდეს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებს ან სხვა მუხლებს \_ ან შეჯამებული სახით წარმოადგენდეს მათ, ან უფრო დეტალურ ინფორმაციას იძლეოდეს მათ შესახებ) უნდა შეუდაროს ფინანსური ანგარიშგების ანალოგიურ თანხებს ან სხვა მუხლებს; და
- განიხილოს, არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და ჩატარებული აუდიტის შედეგად აუდიტორის მიერ სამეურნეო სუბიექტის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას შორის, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებებისა და აუდიტის პროცესში გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით.

ასს 720-ის (გადასინჯული) მე-16 და მე-19 პუნქტებში ახსნილია, რა რეაგირება უნდა მოახდინოს აუდიტორმა, მათ შორის რა ზომები უნდა გაატაროს, თუ გამოვლინდება არსებითი შეუსაბამობა, ან როდესაც აუდიტორი დასკვნის, რომ სხვა ინფორმაციაში არსებობს არსებითი უზუსტობა.

### ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მნიშვნელოვანი დაგვიანება



ასს 570-ის (გადასინჯული) 26-ე პუნქტი მოითხოვს, რომ თუ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებას მნიშვნელოვნად აგვიანებს ხელმძღვანელობა ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ, აუდიტორმა უნდა გამოიკითხოს დაგვიანების მიზეზები. თუ აუდიტორი დარწმუნებულია, რომ დაგვიანება დაკავშირებულია სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნარის შეფასებასთან დაკავშირებულ მოვლენებთან ან პირობებთან, აუდიტორმა უნდა ჩაატაროს აუცილებელი დამატებითი აუდიტორული პროცედურები, როგორც ეს აღწერილია ასს 570-ის (გადასინჯული) მე-16 პუნქტში. ამასთან, უნდა გაითვალისწინოს ამ დაგვიანების გავლენა აუდიტორის მიერ გამოტანილ დასკვნაზე, რომელიც ეხება არსებითი განუსაზღვრელობის არსებობას, როგორც ასს 570-ის (გადასინჯული) მე-18 პუნქტშია აღწერილი.

კოვიდ-19-ის პანდემია შეიძლება გახდეს ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დაგვიანების ერთ-ერთი მიზეზი, ამიტომ ზოგიერთ იურისდიქციაში უკვე დაუშვეს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვადების გახანგრძლივება. თუ დაგვიანება მნიშვნელოვანი ვადით ხდება, აუდიტორებმა უნდა გაითვალისწინონ ასს 570-ის (გადასინჯული) მოთხოვნები, რომლებიც ზემოთ იყო განხილული და უზრუნველყონ, რომ კომუნიკაცია ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან ისევ ღიად და ქმედითად ხორციელდებოდეს, რაც აუდიტორებსაც და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებსაც დაკისრებული პასუხისმგებლობების შესრულების საშუალებას მისცემთ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მნიშვნელოვნად დაგვიანების მიუხედავად.

### დოკუმენტაცია



ასს 230-ის<sup>12</sup> მე-8 პუნქტი მოითხოვს, რომ აუდიტორმა სამუშაო დოკუმენტებში ასახოს ჩატარებული აუდიტორული პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა, ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგები და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შესახებ გამოტანილი დასკვნები და ამ დასკვნების გამოსატანად ჩატარებული მნიშვნელოვანი პროფესიული განსჯა.

შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ სამუშაო დოკუმენტებში დაფიქსირებული იქნება აუდიტორის მიერ სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით ჩატარებული პროცედურები, იმის ასახსნელად, როგორ გამოიტანა აუდიტორმა დასკვნები (რომლებსაც უნდა დაეყრდნოს აუდიტორის მოსაზრება) და ასევე აღწერილი იქნება აუდიტორის მოსაზრების მოდიფიკაცია და სხვა ცვლილებები, რომლებიც შესატანია აუდიტორის დასკვნაში.

12. ასს 230 – „აუდიტის დოკუმენტაცია“.



ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია® ანუ IFAC® ხელს უწყობს IAASB-ს ორგანიზაციული სტრუქტურისა და იმ პროცესების განხორციელების მხარდაჭერას, რომელსაც ეფუძნება IAASB-ს საქმიანობა.

IAASB და IFAC პასუხს არ აგებენ იმ ზარალზე, რომელიც განიცადა პირმა, წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული მასალის საფუძველზე მოქმედების ან თავის შეკავების შედეგად, მიუხედავად იმისა, რითი იყო გამოწვეული ეს ზარალი, დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით.

International Standards on Auditing (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Assurance Engagements (მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Review Engagements (მომოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Related Services (აუდიტთან დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Quality Control (ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს), International Auditing Practice Notes (აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის შენიშვნებს), განსახილველ პროექტებს, საკონსულტაციო დოკუმენტებსა და IAASB-ს სხვა პუბლიკაციებს გამოსცემს IFAC და საავტორო უფლებაც IFAC-ს ეკუთვნის.

საავტორო უფლება © 2020 წლის აპრილი, ეკუთვნის IFAC-ს. ყველა უფლება დაცულია. პირადი ან არაკომერციული სარგებლობისთვის (ე.ი. პროფესიული ან კვლევის მიზნებისთვის) შესაძლებელია ამ დოკუმენტის ორიგინალური ვერსიის გადმოწერა [www.iaasb.org](http://www.iaasb.org) ვებგვერდიდან. ამ დოკუმენტის თარგმნის, გამრავლების, შენახვის, გადაცემის ან სხვა ანალოგიური წესით გამოყენებისთვის აუცილებელია წერილობითი ნებართვა.

The 'International Auditing and Assurance Standards Board', 'International Standards on Auditing', 'International Standards on Assurance Engagements', 'International Standards on Review Engagements', 'International Standards on Related Services', 'International Standards on Quality Control', 'International Auditing Practice Notes', 'IAASB', 'ISA', 'ISAE', 'ISRE', 'ISRS', 'ISQC', 'IAPN' და ლოგო IAASB IFAC-ის სავაჭრო ნიშნებია, ან IFAC-ის რეგისტრირებული სავაჭრო და მომსახურების ნიშნებია აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

საავტორო უფლების, სავაჭრო ნიშნებისა და ნებართვის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ [permissions](http://permissions) ან დაგვიკავშირდეთ [permissions@ifac.org](mailto:permissions@ifac.org).

## Going Concern in the Current Evolving Environment—Audit Considerations for the Impact of COVID-19

ფუნქციონირებადი საწარმო ახლანდელ ცვალებად გარემოში — აუდიტში  
გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები  
კოვიდ-19-ის გავლენასთან დაკავშირებით

წინამდებარე დოკუმენტი „ფუნქციონირებადი საწარმო ახლანდელ ცვალებად გარემოში — აუდიტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები კოვიდ-19-ის გავლენასთან დაკავშირებით“, რომელიც მოამზადა აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციამ (IFAC) ინგლისურ ენაზე გამოსცა 2020 წლის აპრილში, ქართულ ენაზე თარგმნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა 2020 წლის მაისში და გამოიცემა IFAC-ის ნებართვით. IFAC-ის პუბლიკაციების დამტკიცებულ ტექსტად მიიჩნევა IFAC-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი. IFAC თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, ან ქმედებებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მის გამოყენებას.

„ფუნქციონირებადი საწარმო ახლანდელ ცვალებად გარემოში — აუდიტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები კოვიდ-19-ის გავლენასთან დაკავშირებით“, ინგლისურენოვანი ტექსტი © 2020 წ. International Federation of Accountants (IFAC). ყველა უფლება დაცულია.

„ფუნქციონირებადი საწარმო ახლანდელ ცვალებად გარემოში — აუდიტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები კოვიდ-19-ის გავლენასთან დაკავშირებით“, ქართულენოვანი ტექსტი © 2020 წ. International Federation of Accountants (IFAC). ყველა უფლება დაცულია.

ორიგინალური ვერსიის სახელწოდება: *Going Concern in the Current Evolving Environment—Audit Considerations for the Impact of COVID-19*

წინამდებარე დოკუმენტის გამრავლების, შენახვის, ან გადაცემის, ან სხვა ანალოგიური მიზნით გამოყენებისთვის ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით: [Permissions@ifac.org](mailto:Permissions@ifac.org)

გამოსცა:



თარგმნა:



საბარტვალის ფინანსთა საინისტრორს  
აღსაღრული კლინისის, აბარისბისა  
და აუდიტის ნიღაბისაღსაღრის სახისაღრ

